საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №01-15/ნ-№22

2014 წლის 5 მარტი

ქ. თბილისი

# „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ვირუსული C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის დამტკიცების და განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 31 იანვრის №01-5/ნ-№12 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებთ:**

**მუხლი 1**

„პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ვირუსული C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის დამტკიცების და განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 31 იანვრის №01-5/ნ-№12 ერთობლივი ბრძანებით (სსმ, 31/01/2014, 470230000.22.035.016237) დამტკიცებული დანართის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მსჯავრდებულის მკურნალობაში ჩართვის, მკურნალობის დროებითი ან მუდმივი შეწყვეტის და მკურნალობის დასრულების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომიტეტი, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს კომიტეტის საქმიანობის წესით, ამ პროგრამით, კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული C ჰეპატიტის მართვის კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციით (გაიდლაინი), კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტით (პროტოკოლი) და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.“.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

| | |
|---|---|
| საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი | დავით სერგეენკო |
| მინისტრი | სოზარ სუბარი |